პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 89 (10786) | კვირა, 14 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის

ამ დღეებში რუსეთის უძველესი ქარხნის „კრასნოე სორმოვოს“ და გორკის საავტომობილო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა მიტინგებზე, აგრეთვე გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე და ქალაქ გორკის მშრომელთა მრავალათასიან მიტინგზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ პარტიამ და მთავრობამ გადაწყვიტეს მოეთათბირონ ხალხს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დასახულია განხორციელდეს სახელმწიფო სესხების მიმართ.

ხალხის განსახილველად გამოტანილ ღონისძიებათა არსი შემდეგია: მიმდინარე წელს სესხი გამოშვებულ იქნას 12 მილიარდი მანეთისა, ესე იგი თითქმის სამჯერ ნაკლები თანხისა, ვიდრე გასულ წელს; 1958 წლიდან შეწყდეს სესხების გამოშვება, გარდა სამპროცენტიანი სესხისა, რომელიც თავისუფლად ბრუნავს; 20-25 წლით გადაიდოს წინათ გამოშვებული და მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სესხების განაღდება.

რით არის გამოწვეული ასეთი წინადადებები, ხელსაყრელია თუ არა ისინი სახელმწიფოსათვის, ხალხისათვის?

ამჟამად მოსახლეობაში გავრცელებული სესხების თანხა 260 მილიარდ მანეთს შეადგენს. სახელმწიფოსათვის ამდენი ფულის სესხად მიცემა შეეძლო მხოლოდ სოციალიზმის მშენებელ ხალხს, რომლის ინტერესები ერთიანი და განუყოფელია სახელმწიფოს ინტერესებისაგან, ხალხს, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია კომუნიზმის მაღალი იდეებისა.

ყველა კაპიტალისტური ქვეყანა თავის მსხვილ მრეწველობას აშენებდა იმ სახსრებით, რომლებსაც ისინი ომის შედეგად იღებდნენ დამარცხებული ქვეყნებისაგან, კოლონიების ძარცვით, ბოლოს, უცხოეთის კაბალური სესხებით. ჩვენი ქვეყნისათვის ასეთი გზები გამორიცხულია — ისინი გამორიცხა თვით საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებამ, როგორც მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, ყველაფერზე მაღლა აყენებს მშრომელთა ინტერესებს. კაპიტალისტებს არათუ არ მოუციათ ჩვენთვის სესხად არც ერთი გროში, არამედ მთელი ამ წლების განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ჩვენს წინააღმდეგ. საკუთარი ძალებით, მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური დაგროვებით ავაშენეთ მძლავრი მრეწველობა, რომელიც ახლა 30-ჯერ მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე უშვებდა რევოლუციამდელი რუსეთის მრეწველობა, შევქმენით მსხვილი, დიდად მექანიზებული სოფლის მეურნეობა, გადავაქციეთ ჩვენი სამშობლო მოწინავე კულტურის ქვეყნად.

ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრების მთავარ და გადამწყვეტ ნაწილს იძლევა სოციალისტური სახალხო მეურნეობის წლითიწლობით მზარდი შემოსავალი. ამასთან ერთად ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი როლი შეასრულეს სესხებმა. მაგრამ სესხები მუდამ ვერ იარსებებენ. სესხები ან უნდა გამოვუშვათ სულ უფრო მზარდი თანხისა, — ეს კი ტვირთად დააწვება მოსახლეობას, — ან გამოვუშვათ ნაკლები თანხისა, — მაგრამ მაშინ სახელმწიფო ვერ მიიღებს სესხებით საკმაო ფინანსურ შედეგებს. ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს უხდება სულ უფრო მეტი თანხების გადახდა სესხების მოგებისა და დაფარვის სახით. მაგალითად, მიმდინარე წელს დასახული იყო დაახლოებით 16 მილიარდი მანეთის გადახდა, მომავალ წელს — 18 მილიარდისა, ხოლო 1967 წელს — სულ ცოტა 25 მილიარდისა. ეს ნიშნავს, რომ ახალი სესხების რეალიზაციით მიღებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო შემდეგში თითქმის მთელი სახსრები მოხმარდებოდა არა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საჭიროებებს, არა ყველა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, არამედ ძველ სესხებზე მოგებათა და დაფარვის გადახდას.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისით სესხების შემდგომი გამოშვება სულ უფრო ნაკლებ მიზანშეწონილი ხდება. ამასთან ერთად სესხების გამოშვების შეწყვეტის საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას, თუ ამავე დროს არ გადაიჭრა მეორე საკითხი — ადრე გამოშვებული სესხების განაღდების გადადება. თუ შეწყვეტდა სესხების გამოშვებას და ამავე დროს განაგრძობდა ძველი სესხების განაღდებას, სახელმწიფო იძულებული იქნებოდა შეემცირებინა ხარჯები ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების, მშრომელთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის. ეს აშკარად ზიანს მიაყენებდა ხალხის ინტერესებს, უარყოფით გავლენას მოახდენდა ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე, ხალხის საერთო კეთილდღეობაზე.

სახელმწიფო სესხების მიმართ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს საბჭოთა ხალხი ღრმა გაგებითა და მხურვალე მოწონებით შეხვდა.

გამოვიდა რა ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მიტინგზე, შემდუღებელმა ამხ. გოლუბევამ განაცხადა, რომ მუშები მიესალმებიან ამ ღონისძიებებს და მიაჩნიათ, რომ ძველი სესხების განაღდება უნდა გადაიდოს, რათა ეს ფული დარჩეს სახელმწიფოს და გამოყენებულ იქნას მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

გორკის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა 60-ათასიანმა მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოწონებულ იქნას და მხარი დაეჭიროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებიც გამოთქვა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა იმის შესახებ, რომ 1958 წლიდან შეწყდეს ხელის მოწერა სესხზე, შეწყდეს სესხების მოგებათა გაცემა, აგრეთვე გადაიდოს სესხების დაფარვის ვადა. ამავე დროს მოწონებულ იქნას წინადადება, რომ 1957 წელს მოეწყოს სესხზე უკანასკნელი ხელმოწერა 12 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1956 წლის ფაქტიური ხელმოწერის 34,5 მილიარდი მანეთისა“.

წინადადებებს სესხების შესახებ ქალაქ გორკის საწარმოთა შემდეგ ახლა ფართოდ განიხილავენ მთელ ჩვენს ქვეყანაში — მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებებზე, მათ ყველგან მოწონებითა და მხარდაჭერით ხვდებიან.

დღეს ქვეყნდება დადგენილება, რომელიც ამ საკითხზე ერთსულოვნად მიიღეს ვოლგისპირეთის — კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადის, ულიანოვსკის, ასტრახანის, ბალაშოვის, პენზის ოლქებისა და თათრეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილეებმა.

— მხურვალედ მივესალმები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს სესხების შესახებ, — თქვა მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ხარატმა ამხ. ლეტუნოვმა. — ეს ღონისძიებანი ხელსაყრელი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ყველა მშრომელისათვის, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები ხომ განუყოფელია ხალხის ინტერესებისაგან.

კრასნოდარის მხარის ნოვო-ტიტაროვსკაიას რაიონის მარიანსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ძენმა განაცხადა:

— ძალიან კარგია, რომ ჩვენი პარტია ეთათბირება ხალხს, თუ როგორ სჯობს გადაიჭრას სესხების საკითხი. ჩვენ იმიტომ კი არა ვცხოვრობთ, რომ ფული ვაგროვოთ პირადად ჩვენთვის, არამედ იმიტომ, რომ გავხადოთ ჩვენი სამშობლო უფრო ლამაზი და მდიდარი. ფული, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება ძველი სესხების განაღდების გადადების შემდეგ, მოხმარდება ახალი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, კლუბების მშენებლობას, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას.

სხვა სიტყვებით, მაგრამ იგივე აზრი გამოთქვეს ლენინგრადისა და კიევის, ურალისა და ბალტიისპირეთის მუშებმა, უკრაინისა და ციმბირის მეტალურგებმა, მეშახტეებმა, მანქანათმშენებლებმა, მენავთობეებმა, კოლმეურნეებმა, ყამირი მიწების ახალმოსახლეებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა — ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ყველა მშრომელმა.

„კაპიტალისტი, ეს ჩარჩი, რომელიც მშობელ მამას ნახევარი პროცენტისათვის ყელს გამოსჭრის, თუ ეს მას მოგებას მისცემს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მიმართა რა ქალაქ გორკში სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილეებს, — ვერასოდეს ვერ გაიგებს ჩვენი საბჭოთა ადამიანის სულს. იგი ვერასოდეს ვერ დაიჯერებს, რომ თქვენ ნებაყოფლობით იღებთ ამას“. და მართლაც, როგორ შეუძლიათ გაიგონ ეს იმათ, ვინც დედის რძესთან ერთად შეიწოვა მხეცური მორალი ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომელშიც ადამიანი ადამიანისათვის მგელია! ღორი უფრო მალე შეხედავს ცას, ვიდრე ოქროს ეს „რაინდები“, ბინძური მოგების მოყვარულები გაიგებენ კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა კეთილშობილურ და წმინდა ფსიქოლოგიას. მაგრამ რასაც ვერასოდეს ვერ გაიგებენ მგლური, ჩარჩული მორალის მქონე ადამიანები, ის ბუნებრივი და ახლობელია საბჭოთა ადამიანისათვის. მონაწილეობს რა საყოველთაო-სახალხო შრომაში, იგი თავისი მუშაობისათვის იღებს იმ წვლილის შესაბამისად, რომელიც საერთო საქმეში შეაქვს. მაგრამ ეს საზღაურია დღევანდელი დღისათვის. საბჭოთა ადამიანები კი მარტო დღევანდელი დღით როდი ცხოვრობენ, ისინი რწმენით შეჰყურებენ მომავალს, არ იშურებენ ძალღონეს, რათა მოაახლოონ ეს ნათელი, კომუნისტური მომავალი.

კომუნისტური მშენებლობის კეთილშობილური მიზნით შთაგონებულნი, აქტიურად მონაწილეობენ რა საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ არა იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტი დააგროვონ საკუთარი თავისათვის. არა, ისინი პირველ რიგში ზრუნავენ იმისათვის, რომ აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოება, მეტი გამოუშვან სამრეწველო პროდუქცია და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მეცნიერების დახმარებით შექმნან ახალი მანქანები, რომლებიც შეამსუბუქებენ შრომას, გაადიდებენ მის ნაყოფიერებას, უფრო მალე შექმნან ჩვენს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის სიუხვე ყველა მშრომელისათვის.

შეესაბამებიან თუ არა ამ კეთილშობილურ მიზანს სესხების მიმართ დასახული ღონისძიებანი? სავსებით შეესაბამებიან! სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო მიიღებს ძველი სესხების განაღდების გადადების შედეგად, მოხმარდება საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების მშენებლობას და სხვა საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებასთან. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით მოიგებს მთელი ხალხი და თვითეული საბჭოთა ადამიანი ცალკე. კიდევ უფრო გადიდდება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება, ჩვენი ქვეყანა გადადგამს ახალ დიდ ნაბიჯს კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

სესხების შესახებ წინადადებათა ფართოდ განხილვა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანს არა მარტო სწორად ესმის თავისი მთავარი მიზანი ცხოვრებაში, არამედ ყველაფერსაც აკეთებს მისი რაც შეიძლება მალე მიღწევისათვის. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისა, ხალხის მასების რევოლუციური შემოქმედებისა, რომლებმაც ააშენეს მძლავრი და უძლეველი საბჭოთა სახელმწიფო, ძლიერი, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მასების შეგნებით, ძლიერი იმით, რომ „მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან“.

სოციალისტური სახელმწიფოს ძალის ამ დიდ წყაროს კვლავ და კვლავ მოწმობს ის, რომ მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სახელმწიფო სესხების შესახებ, რომელთა გამო კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტეს მოეთათბირონ ხალხს.

„პრავდის“ 13-IV მოწინავე.

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად



თბილისი. ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში თავი ისახელა გამომჭრელმა გ. გოგელაძემ, რომელიც შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სისტემატურად 140-142 პროცენტით ასრულებს. სურათზე: გ. გოგელაძე მუშაობის დროს.

★

## გუმათჰესის მშენებლების წარმატება

გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა, რომელიც ლაჯანურჰესის მშენებელთა კოლექტივს ეჯიბრება, ამ დღეებში მორიგ გამარჯვებას მიაღწია: დაამთავრა კაშხალის პირველი რიგის მშენებლობა და გაზაფხულის მოსალოდნელი წყალდიდობის დაწყებამდე უზრუნველყო მდინარე რიონის გადაგდება მის ძველ კალაპოტში. ეს მშენებლებს საშუალებას აძლევს გაშალონ ახალი ფრონტი საგენერატორო შენობის ასაგებად.

ამასთან მშენებლებმა დაამთავრეს ახალი საქალაქო წყალსადენის სათავის მოწყობა, საიდანაც უახლოეს მომავალში ქუთაისის მშრომელები მიიღებენ სასმელ წყალს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გუმათჰესელი ენერგომშენებლების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. დიულგაროვი, ა. კილაბერია, შ. ბერაია, ფ. პარაშჩენკო და ვ. ტეხოვი ხელმძღვანელობენ.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

## თბილისის მშრომელთა დელეგაცია რიგაში

რიგა, 13 აპრილი. (საქინფორმის სპეც. კორ.). თბილისის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც რიგაში ჩამოვიდა ორი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად, ინტერესით ეცნობა ლატვიის მშრომელთა ცხოვრებას, მრეწველობის საწარმოთა და კომუნალური მეურნეობის, სავაჭრო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, პედაგოგთა საქმიანობას. რიგელები ყველგან გულთბილად ხვდებიან ძვირფას სტუმრებს.

რიგაში ყოფნის პირველ დღეს საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლები მიიღო ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ე. კალნბერზინმა. შემდეგ მათ დაათვალიერეს ელექტროტექნიკური ქარხანა „ვეფი“, რომლის პროდუქცია — რადიომიმღები „მირი“, ტელეფონის კომუტატორები, საშახტო ტელეფონის აპარატები — ფართოდ ცნობილია საქართველოში. მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივმა მოაგვარა მასობრივი გამოშვება რადიომიმღებ „ტურისტისა“ და რადიოლების „აკორდის“ და „ლუქსისა“. აქ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საწარმოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საამქროები და გაეცნენ იმას, თუ როგორ წარმოებს ქარხნის ნაკეთობათა აწყობა და მონტაჟი. საწარმოს ერთ-ერთ საამქროში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. გახსნა რა იგი, ქარხნის პარტკომის მდივანი ეგოროვა საწარმოს მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სახელით გულთბილად მიესალმა თბილისის წარმომადგენლებს. სატელეფონო საამქროს უფროსმა ლუზოცკიმ, სატელეფონო საამქროს მემონტაჟე იანსონმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ თბილისის მშრომელთა დელეგაციის ჩამოსვლა ლატვიაში მოწმობს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობას.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის ხელმძღვანელმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ მადლობა გადაუხადა საწარმოს კოლექტივს გულთბილი მიღებისათვის. მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაზე, მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ეკონომიური ურთიერთგაზიარების მნიშვნელობაზე.

ქალაქ თბილისის დელეგაციის შეხვედრისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა აგრეთვე აბრეშუმსაქსოვ კომბინატ „რიგას აუდუმსში“. თავიანთ გამოსვლებში კომბინატის დირექტორმა ბოზირმა, საქსოვი საამქროს უფროსმა ბაიკინმა, მქსოველებმა გოფმანმა და ალექსანდროვამ აღნიშნეს, რომ ლატვიისა და საქართველოს ფეიქართა შეჯიბრება ხელს შეუწყობს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახულია საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა წინაშე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვეს თბილისის მშრომელთა დელეგაციის წევრებმა — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვ. კუპრაძემ და მსახიობმა ლ. აბაშიძემ.

ვრცელ საამქროებში სტუმრები ინტერესით ათვალიერებდნენ ხელოვნური და ბუნებრივი აბრეშუმის ქრელ და სადა ქსოვილებს. დელეგაციის წევრებს — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორს ე. თავაძეს, მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ინჟინერს ი. დემურიშვილსა და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანს გ. შარიქაძეს აინტერესებდათ საწარმოს მუშაობა, მქსოველთა ხელფასის საკითხები, ტექნოლოგიური პროცესის დეტალები.

— უწინარეს ყოვლისა ჩვენ აღვნიშნავთ თქვენი წარმოების მაღალ კულტურას, — ამბობს ინჟინერი ი. დემურიშვილი. — ბევრი რამ თქვენი გამოცდილებიდან ჩვენ უნდა გადავიღოთ.

დელეგაციამ დაათვალიერა აგრეთვე რიგის ვაგონმშენებელი ქარხანა, რომლის ელექტრომატარებლები და ვაგონები დადიან ამიერკავკასიის ელექტროფიცირებულ გზებზე, საკონდიტრო ფაბრიკა „ლაიმა“, იყო რიგის ზღვის სანაპიროზე. ოპერისა და ბალეტის თეატრში სტუმრებმა ნახეს ბალეტი „კორსარი“.

გუშინ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ და დაათვალიერეს ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პიონერთა სასახლე, ისტორიული მუზეუმი.

## საქართველოს მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სესხების დარგში

### აფხაზეთის მშრომელთა სიტყვა

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მიმდინარეობს მიტინგები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სესხების დარგში.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში გამართულ მიტინგზე სანდალეტის საამქროს მოწინავე მუშამ კ. ივანოვმა განაცხადა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ყოველთვის სიამოვნებით ვაძლევდით ჩვენს შრომითს დანაზოგებს სესხად სახელმწიფოს, რადგან ვიცით, რომ ეს თანხები ხმარდება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხის საყოფაცხოვრებო-კულტურული დონის ამაღლებას. ჩვენ ახლა ერთსულოვნად დავუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის წინადადებას 1958 წლიდან სესხის გამოშვების შეწყვეტის, აგრეთვე სესხების დაფარვის ვადის გადადების შესახებ.

— ჩვენ მოგვწონს ღონისძიებანი სახელმწიფო სესხების დარგში, — თქვა პირველი შემკერავი საამქროს მუშამ ლ. უვაროვამ, — ეს ღონისძიებები ხელსაყრელი იქნება როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ისე თვითეული მშრომელისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოიწონეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სახელმწიფო სესხების დარგში.

### საბჭოთა ადამიანების ინტერესებისათვის

თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ 1958 წლიდან შეწყდეს ხელის მოწერა სესხზე, შეწყდეს სესხების მოგებათა გაცემა, აგრეთვე გადაიდოს სესხების დაფარვის ვადა, ხოლო 1957 წელს მოეწყოს სესხზე უკანასკნელი ხელმოწერა 12 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მიტინგზე, რომელიც ამ წინადადების განხილვას მიეძღვნა, სიტყვით გამოვიდა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. გოგუაძე. მან ილაპარაკა ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობის შესახებ.

— სახსრები, რომლებსაც ობლიგაციების ღირებულებისა და მოგებათა სახით სახელმწიფოს ვუტოვებთ 20-25 წლით, — თქვა მან, — მოხმარდება საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობას, საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების შემდგომ გაუმჯობესებას.

— მე მივესალმები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გამოთქმულ წინადადებას სახელმწიფო სესხების დარგში. ამ წინადადების განხორციელება კიდევ უფრო საამურს გახდის ჩვენს ცხოვრებას. მოვუწოდებ მთელ კოლექტივს მხარი დაუჭიროს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სესხების შესახებ, — განაცხადა ფაბრიკის მოწინავე მუშამ პ. ანოხინმა.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა მ. გვერდწითელმა, ზ. ტაბატაძემ, მ. ზარიძემ. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ პარტიის სიტყვა ხალხის ნების გამომხატველია, პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას უპასუხებენ თავდადებული შრომით, გამოუშვებენ მეტ და მაღალი ხარისხის პროდუქციას.

### სამშობლოს საკეთილდღეოდ

შესვენების დროს გაიმართა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სესხების დარგში.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. მაისაიამ.

ტრიბუნაზეა საიარაღო საამქროს ნოვატორი ხარატი მ. გრიგორიევი.

— ამხანაგებო, — ამბობს იგი, — 1957 წლის სახელმწიფო სესხის შემცირება და 1958 წლიდან სესხების გამოშვების შეწყვეტა ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მოვუწოდებ მთელ კოლექტივს ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებებს.

მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა ხარატმა ო. ეგიაზაროვმა, მთავარმა ინჟინერმა ვ. კაპატაძემ, საჩამომსხმელო საამქროს ოსტატმა ნ. ტყემალაძემ ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ უკანასკნელ წლებში, მათ იმედი გამოთქვეს, რომ ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ღონისძიებებს სესხების დარგში.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს.

### ერთსულოვანი მხარდაჭერა

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე კომბინატის დირექტორმა ნ. ი. თუშიშვილმა, მხარი დაუჭირა რა პარტიისა და მთავრობის წინადადებას სახელმწიფო სესხების შესახებ, განაცხადა:

— მე მომხრე ვარ, რომ წინათ გამოშვებული სესხების დაფარვა გადაიდოს 20-25 წლით. ეს ღონისძიება ხელსაყრელია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მშრომელებისათვის.

— სესხის თანხები, — თქვა მრთველმა ქ. მირესაშვილმა, — ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას მოხმარდება. ამიტომ მხურვალედ ვუჭერ მხარს პარტიისა და მთავრობის წინადადებას.

— მომავალი წლიდან სესხზე ხელმოწერის შეწყვეტა, — თქვა ოსტატმა ი. ჩიქოვანმა, — არის პარტიისა და მთავრობის მორიგი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ ზრუნვის პასუხად თვითეული ჩვენგანი გაორკეცებული ენერგიით იმუშავებს. გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს და პარტიისა და მთავრობის ღონისძიება მოიწონეს კომბინატის მოწინავე ადამიანებმა ლ. ბოიკომ, ა. ჩიქოვანმა და სხვებმა.

## საქართველოს მშრომელები ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისათვის

საქართველოს მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ემზადებიან იმისათვის, რომ ზეიმით აღნიშნონ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავი, რაც 1957 წლის 22 აპრილს სრულდება.

ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავი აღინიშნება იმ დღეებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო მზადება ისტორიული თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

ლენინის დაბადების დღისათვის მზადება მიმდინარეობს იმ ნიშნით, რომ წარმოებს რესპუბლიკის მშრომელთა ძალების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებით დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ფართო განხილვა, რაც ამჟამად მიმდინარეობს, მკაფიოდ გამოხატავს კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის მხურვალე მოწონებას საქართველოს მშრომელების მიერ.

აპრილში რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები თემებზე: „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი“, „ვ. ი. ლენინი — რევოლუციური მეცნიერების კორიფე“, „ვ. ი. ლენინი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“, „სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორია“, „ვ. ი. ლენინი სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში პროლეტარული სახელმწიფოს როლის შესახებ“, „ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და მეურნეობის მართვის მეთოდების სრულყოფის საჭიროების შესახებ“, „სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ლენინური გეგმა და საბჭოთა ხალხის ბრძოლა მისი განხორციელებისათვის“, „ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძალის ძირითადი წყაროს შესახებ“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ლენინიზმის იდეების განსახიერებაა“, „ვ. ი. ლენინის ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განმტკიცებისათვის რეაქციული ნაციონალიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ“, „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“, „მარქსიზმ-ლენინიზმი კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში“, „ვ. ი. ლენინის ბრძოლა რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ“, „კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში“, „ვ. ი. ლენინი კომუნისტური პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობის როგორც პროლეტარიატის ყველა გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობის შესახებ“, „ლენინიზმი დროშაა ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლისა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის“, „ლენინიზმი კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშაა“.

22 აპრილს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. საზეიმო კრებები გაიმართება აგრეთვე რესპუბლიკის ყველა საქალაქო და რაიონულ ცენტრში. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებში მოეწყობა მშრომელთა საერთო კრებები, მიძღვნილი ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი.

ამ დღეებში სულ უფრო მეტი დამთვალიერებელი მოდის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. მშრომელები მოდიან აქ, რათა გაეცნონ მრავალ ექსპონატს, დოკუმენტებს, რომლებიც გვიხატავენ დიდი ბელადის სახელოვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისათვის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში, თბილისისა და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობა მასალებისა და ლიტერატურის გამოფენები ლენინის შესახებ.

რესპუბლიკის კინოთეატრები აპრილში უჩვენებენ დოკუმენტალურ და მხატვრულ ფილმებს ლენინის შესახებ. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

გ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საჭიროების შესახებ. ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ" ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მოხსენების თეზისების განხილვისას შემოაქვთ ბევრი ძვირფასი წინადადება მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

სამეურნეო მშენებლობის საკითხები, სახალხო მეურნეობის მართვის საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში.

ვითარებისა და წარმოების პირობების შეცვლის შესაბამისად იცვლებოდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმებიც. ამასთან დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი მუდამ იყო და კვლავ არის სოციალისტური მშენებლობის მართვის ურყევი პრინციპი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა სამეურნეო მშენებლობის შეძენილი გამოცდილების ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოამჟღავნა დიდი ნაკლოვანებანი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში და დასახა ახალი მიმართულებანი მართვის ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის მრეწველობისა და მშენებლობის ყველა რგოლში, მისი საფუძვლის — წარმოების ხელმძღვანელობის ჩათვლით.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში სავსებით სწორად არის აღნიშნული, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს მართვის ორგანიზაციული ფორმის სრულყოფას მრეწველობისა და მშენებლობის ყველა რგოლში.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნის ამოცანა ახლა დაყენებულია არა იმიტომ, რომ ჩვენში თავი იჩინა რამდენადმე სერიოზულმა ხარვეზებმა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების საქმეში.

დასახული გარდაქმნის მიზანია კიდევ უფრო მეტი გასაქანი მივცეთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, უფრო სრულად გამოვიყენოთ უდიდესი რეზერვები, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივა, უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა.

მრეწველობის მართვის არსებული პრაქტიკის ძირითადი ნაკლია ის, რომ იგი იწვევს უწყებრივი ბარიერების შექმნას, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ეკონომიკის უდიდესი რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენებას, განსაკუთრებით რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ცალკეული ეკონომიური რაიონების მიხედვით. მართვის ეს ფორმა გამორიცხავს საწარმოთა და მშენებლობათა კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს, ცალკეული სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და მშენებლობათა მოუქნელობისა და სიმრავლის გამო. ამავე დროს უგულებელყოფილია დაგეგმვის ტერიტორიული პრინციპები, რაც ასუსტებს ტერიტორიულ-საწარმოო კავშირს რესპუბლიკათა ეკონომიური რაიონების ფარგლებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, თანმიმდევრულად ახორციელებენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, მუდამ ზრუნავენ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შეხმატკბილებულ ოჯახში შემავალ ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი მრეწველობა და უაღრესად მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა, გამოიჭედა სახალხო ინტელიგენციის კადრები და განვითარდა სოციალისტური კულტურა.

ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა მრავალდარგოვანი სოციალისტური მრეწველობა.

საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1956 წელს 30-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. 1956 წელს გამოშვებულია 10 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1955 წელს, და თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს ამჟამად აქვს მძიმე მრეწველობის თითქმის ყველა დარგი — განვითარებული ელექტროენერგეტიკული მეურნეობა, ქვანახშირის მრეწველობა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის სხვადასხვა დარგები, ქიმიური მრეწველობა და სამშენ მასალათა მრეწველობა.

დიდი მიღწევებია აგრეთვე მსუბუქი, განსაკუთრებით კვების მრეწველობის განვითარების დარგში. იგი რესპუბლიკის მრეწველობის მთელი საერთო პროდუქციის 40-მდე პროცენტს უშვებს.

წარმატებით ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ძირეულად გარდაიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა ძვირფასი ტექნიკური კულტურების — ჩაის, ვაზის, ციტრუსების, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების ფართოდ განვითარების მიმართულებით.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მრეწველობის მართვის არსებული ფორმა უკვე ზღუდავს ადგილობრივი პარტიული ორგანოების, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობებს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში, ფერხდება მათი ინიციატივა და საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ძალების მობილიზაცია ადგილობრივი რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, სუსტად არიან დაკავშირებული ან სულაც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ საწარმოთა დატვირთვა ხდება ვიწრო-უწყებრივი ამოცანების თვალსაზრისით, ამის შედეგად მათი სიმძლავრე და წარმოების რეზერვები გამოუყენებელი რჩება. უწყებრიობა სპობს იმის შესაძლებლობას, რომ ადგილზე ოპერატიულად გადაწყდეს სამეურნეო საკითხები არსებული საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

მრავალი უწყებრივი ბარიერის არსებობა აფერხებს წარმოების მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც შექმნა მრავალი წლის განმავლობაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის მეტისმეტმა ცენტრალიზაციამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კურსი აიღო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისაკენ, სახალხო მეურნეობის მართვაში მათი როლის გაძლიერებისაკენ. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებამ უკვე მოგვცა თავისი დადებითი შედეგები.

იმის მაჩვენებელ დამახასიათებელ მაგალითს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელობის მიახლოებას წარმოებასთან, წარმოადგენს საკავშირო დაქვემდებარებიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში ზოგიერთი საწარმოს გადაცემა, რაც მთავრობამ ნაწილობრივ განახორციელა. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მას შემდეგ, რაც ამ საწარმოთა გადაცემა მოხდა, ბევრად გაუმჯობესდა აღნიშნულ საწარმოთათვის დადგენილი სახელმწიფო გეგმების შესრულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ეს იმას მოწმობს, რომ სტრუქტურის შემდგომი გამარტივება და მრავალი უწყებრივი ბარიერის მოსპობა მხოლოდ დადებით გავლენას მოახდენს საწარმოთა მუშაობაზე.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში წამოყენებულია წინადადება — დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით მართვის წინანდელი ორგანიზაციული ფორმებიდან გადავიდეთ ტერიტორიული პრინციპით მართვის ახალ ფორმებზე.

ხელმძღვანელობდნენ რა მოხსენების თეზისებით, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს წინადადება რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი ორგანოების სტრუქტურის შემუშავებისას გამოვდიოდით იმ ძირითადი დებულებიდან, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ერთიანი ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონია.

საქართველოს სს რესპუბლიკის როგორც ეკონომიური და ადმინისტრაციული რაიონის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ყველაზე მისაღებ ფორმად აღიარებულ იქნა მრეწველობისა და მშენებლობის ტერიტორიული მართვის ერთიანი ორგანოს — **„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს"** შექმნა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უნდა ექნეს ყველა უფლება, რომლებიც აუცილებელია სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისათვის, და მას უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა წარმოების გეგმების შესრულებისა და მათი საქმიანობის ეკონომიური შედეგებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ამოცანებში შევა წარმოების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავება და განხორციელება, საწარმოთა სპეციალიზაციის გეგმების შემუშავება, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების წარმოებისა და ურთიერთ მიწოდების კოოპერირება როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შედგენა და განხორციელება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო უშუალოდ უხელმძღვანელებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მშენებლობებს ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, ოპერატიულად გადაწყვეტს რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების მომწიფებულ ამოცანებს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო იქმნება საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო გააერთიანებს მთელ სახელმწიფო მრეწველობას, გარდა ადგილობრივი (საქალაქო-რაიონული) მრეწველობის წარმოებებისა, რომლებიც ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე არასამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებისა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობებისადმი, აგრეთვე რესპუბლიკის საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობას განახორციელებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოები, ხოლო ზოგიერთ დარგში — გამსხვილებული ტრესტები და კომბინატები.

[illegible]

მსხვილ საკავშირო საწარმოებს, როგორიც არის ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა და სხვები;

მანქანათმშენებლობისა და ჩარხმშენებლობის სამმართველო, რომელშიც თავმოყრილი იქნება ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ყველა მანქანათმშენებელი ქარხნისადმი, რომელთა მეტი წილი დღემდე საკავშირო დაქვემდებარებაში იყო (ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ფოლად-თუჯსასხმელო ქარხანა, მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი" და სხვები);

ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელთსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა მშენებლობის სამმართველო. მასში შევა, მართალია, მხოლოდ ექვსი ქარხანა, მაგრამ მისი შექმნა ნაკარნახევია ჩვენს რესპუბლიკაში მრეწველობის აღნიშნული დარგის განვითარების კარგი პერსპექტივებით;

საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო, რომლის გამგებლობაში იქნება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ყველა ძირითადი საწარმო, აგრეთვე კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები;

ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამმართველო — სატყეო მრეწველობის სამინისტროს ყველა საწარმოსათვის, თბილისის ქაღალდის ფაბრიკისათვის, რომელიც დღემდე სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შედიოდა, და ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატისათვის, რომელიც საკავშირო სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებოდა.

იქმნება აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის სამმართველო;

მსუბუქი მრეწველობის სამმართველო;

საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო.

გარდა ამ დარგობრივი სამმართველოებისა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში უშუალოდ შევლენ შემდეგი კომბინატები და ტრესტები: საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, საქართველოს ნავთობის ტრესტი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, საქართველოს ჩაის ტრესტი, მეღვინეობის მრეწველობის ტრესტი (სამტრესტი), შამპანური ღვინოების კომბინატი, პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი, რომელიც საქპურტრესტისა და საქკონდიტერის ბაზაზე იქმნება; მინერალური და ხილის წყლების მრეწველობის ტრესტი, რომელიც საქართველოს მინერალური წყლების ტრესტისა და საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის ბაზაზე იქმნება; საქართველოს მცენარეული ცხიმებისა და ზეთების ტრესტი, რომელიც გააერთიანებს მცენარეული ზეთის ქარხანას, მარგარინის ქარხანას, ეთეროვანი ზეთის ქარხანას და ტუნგოს ზეთის ქარხანას; საკონსერვო მრეწველობის, თევზის მრეწველობის, ხორცის მრეწველობის ტრესტები, საქართველოს ყველისა და ერბო-კარაქის მრეწველობის ტრესტი და საქართველოს ხე-ტყის დამზა- [illegible]

გილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, გადაეცემა უშუალოდ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გამგებლობაში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში ტექნიკური ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის განხორციელებისათვის, ნაცვლად ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი, რომელიც უქმდება, დასახულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მოეწყოს ადგილობრივი, საქალაქო და რაიონული მრეწველობის სამმართველო.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, დარგობრივ სამმართველოებთან და ტრესტებთან ერთად, განზრახულია მოეწყოს ფუნქციონალური სამმართველოები — საწარმოო-ტექნიკური სამმართველო, საგეგმო-ეკონომიური სამმართველო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველოები, საფინანსო განყოფილება და სხვები.

იქმნება აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო — ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სამმართველოები იმუშავებენ მატერიალურ ბალანსებზე, საწარმოო სამმართველოებსა და ტრესტებს შორის მატერიალური ფონდების განაწილებასა და მზა პროდუქციის გასაღებაზე.

ფონდების რეალიზაცია, საწარმოთა მატერიალური მომარაგება და მათი პროდუქციის გასაღება მთლიანად თავმოყრილი იქნება დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში.

მრეწველობის მართვის ფორმების ასეთი რეორგანიზაცია გამოიწვევს იმის აუცილებლობას, რომ შეიქმნას მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების სპეციალური საერთო-საკავშირო ორგანო, რომელსაც დაუქვემდებარდება ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ყველა არსებული საგამსაღებლო ბაზა და მოხდება მათი შემდგომი რეორგანიზაცია ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

ვიდრე ეს ორგანო შეიქმნებოდეს, გასაღებისა და მომარაგების არსებული ბაზები და კანტორები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა, დატოვებულ უნდა იქნან არსებული ფორმებით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში კაპიტალურ დაბანდებათა ყოველწლიური მოცულობა განსაზღვრულია 1,5-1,8 მილიარდი მანეთის ოდენობით. მშენებლობას ახორციელებენ მრავალრიცხოვანი სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები, რომელთა უმრავლესობას სამუშაოთა მცირე მოცულობა აქვს. ნაცვლად ამ სამშენებლო ორგანიზაციებისა, რომლებიც მშენებლობაში სახელმწიფო სახსრების დაქსაქსვასა და გაყინვას და მშენებლობის გაძვირებას იწვევენ, საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნას ტერიტორიული ორგანო — მშენებლობის მთავარი სამმართველო იმ მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის, რომელიც ხორციელდება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ქალაქ თბილისისა. ამ სამმართველოს მუშაობა [illegible]

რული, საავადმყოფოების და სხვა მშენებლობის ყველა ობიექტის შენებას მათზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე.

ამავე მთავარმა სამმართველომ უნდა აწარმოოს მშენებლობა ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციისათვის, გარდა სატრანსპორტო და წყალთა-მეურნეობის მშენებლობისა, სადაც რჩება სამშენებლო ორგანიზაციები.

მშენებლობის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში შევლენ საქართველოს ენერგომშენის ტრესტი (საქჰიდროენერგომშენისა და საქელექტროქსელმშენის ტრესტების ბაზაზე), საქართველოს სამრეწველო მშენებლობის ტრესტი (ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის, საქსურსათმშენმონტაჟის და სხვების ბაზაზე), საქალაქო და სასოფლო მშენებლობის ტრესტი (საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე) და სპეციალიზებულ სამუშაოთა ტრესტი (რესპუბლიკაში არსებულ სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ბაზაზე).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ზემოაღნიშნული სტრუქტურისა და სახალხო მეურნეობის საბჭოში მთელი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის კონცენტრაციის შესაბამისად ლიკვიდირებული იქნება შემდეგი სამინისტროები: სასურსათო საქონლის მრეწველობისა, ხორცისა და რძის მრეწველობისა, საშენ მასალათა მრეწველობისა, სატყეო მრეწველობისა, მსუბუქი მრეწველობისა, საფეიქრო მრეწველობისა, საქალაქო და სასოფლო მშენებლობისა, საავტომობილო ტრანსპორტისა, ადგილობრივი მრეწველობისა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო განზრახულია შეიქმნას 31-35 წევრის შემადგენლობით. მას სათავეში ედგება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. მას ალბათ ეყოლება რამდენიმე მოადგილე.

მრეწველობისა და მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნება კოლეგია 15-17 კაცისაგან. კოლეგიაში შევლენ საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, წამყვან სამმართველოთა უფროსები და მსხვილი ტრესტების მმართველები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო გააერთიანებს 460 ძირითად სამრეწველო საწარმოს, რომელთა წარმოებასა და მშენებლობაში პერსონალის საერთო რიცხვი 200 ათას კაცზე მეტი იქნება. სახალხო მეურნეობის საბჭოში გაერთიანებული მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 11,5 მილიარდამდე მანეთი იქნება, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა — 1 მილიარდამდე მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადადის ბევრი საწარმო, რომლებსაც დღემდე საკავშირო სამინისტროები და მთავარი სამმართველოები მართავდნენ. აქედან წარმოიშვა იმის საჭიროება, რომ შეიქმნას ახალი სამმართველოები, რომლებისთვისაც საჭირო იქნება მუშაკთა დამატებითი შტატი, გარდა იმ მუშაკებისა, რომლებიც სამრეწველო სამინისტროთა ლიკვიდაციის შედეგად განთავისუფლდებიან და რომლებიც, თავისთავად ცხადია, გამოყენებული იქნებიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის იმ საწარმოთა გასაძლიერებლად, რომლებიც აღმასკომებს გადაეცემათ.

* * *

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფის გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო იქნება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უდიდესი ორგანიზატორული საქმიანობა, მათი მუშაობის ძირეული გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება და თეზისები ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ" შეესაბამებიან ჩვენი ქვეყნის მომწიფებულ საჭიროებებს.

საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სქემა, რომელიც დღეს ქვეყნდება, საბოლოოდ დადგენილი ფორმა როდია. ამ საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელიც გაჩაღდა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ბევრ ძვირფას წინადადებასა და შესწორებას შეიტანს წარმოდგენილ სქემაში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევიმუშაოთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე სრულყოფილი ფორმები ჩვენი სამშობლოს ძლიერების განუხრელი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის, კომუნიზმის გზით წარმატებით წინსვლის ინტერესებისათვის.

## საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის სქემა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

# მიღებული მოსავალი ზღვარი არ არის



ტ. გულიანცი.

* * *

ლაგოდეხის რაიონში კარგი მუშაობით სახელი გაითქვა სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ტიგრან გულიანცმა. იგი სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ნამდვილი ოსტატია.

გასულ წელს ტ. გულიანცის ბრიგადამ 13,3 ჰექტარი სიმინდი დაამუშავა და ჰექტარზე 40 ცენტნერი მიიღო ნაცვლად 19-სა. პირადად ტიგრანმა დაამუშავა 0,5 ჰექტარი ფართობი და გეგმით გათვალისწინებულზე ერთიორად მეტი მოსავალი მიიღო.

საერთოდ ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 33 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობას ჩააბარა 73,8 ტონა მოსავალი, რისთვისაც ბრიგადას პრემია-წანამატის სახით კოლმეურნეობიდან ერგო 20,3 ტონა სიმინდი.

კარგად მუშაობენ ბრიგადის რგოლები, რომლებსაც გრ. ბერიშვილი, ვ. ზედელაშვილი და ი. დავლაშელიძე ხელმძღვანელობენ. თვითეულმა სიმინდის მოსავლის გასული წლის გეგმა 150-200 პროცენტით შეასრულა.

როგორ აღწევს ბრიგადირი ტ. გულიანცი სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას?

1956 წელს სიმინდის დასათესად შეარჩია შავი ფხვიერი ნიადაგი. დათესვამდე ერთი თვით ადრე მოხნა 25-30 სანტიმეტრის სიღრმეზე. თესვის წინ ნაკვეთები კარგად გააფხვიერა. დათესა აჯამეთის თეთრი ჯიშის სიმინდი, ჰექტარზე შეინარჩუნა 40.000 მცენარე, არ დააყოვნა სიმინდის პირველი დამუშავება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გადიდების საქმეში. როცა მცენარემ 2-3 ფოთოლი გამოიღო (დათესვიდან 2 კვირის შემდეგ), ბრიგადა შეუდგა თოხნას. მეორე თოხნა პირველი თოხნიდან 2 კვირის შემდეგ მოხდა. მეორე თოხნისას მოეწყო გამოხშირვა და მოსავალი შერჩევით აღებულ იქნა აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან.

ბრიგადის წევრები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წელს იბრძვიან იმისათვის, რომ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 45 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. ბრიგადა ორგანიზებულად აწარმოებს სიმინდის თესვას. კოლმეურნეები და მექანიზატორები საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს.

**ი. ნადაშვილი,**
ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის" მუშაკი.

# ნაკლოვანებანი ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის მზადებაში

★ „კომუნისტის" რეიდი ★

მისცენ სამშობლოს 25 მილიონი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი — ასეთია მახარაძელ მეჩაიეთა ვალდებულება. ამ საბრძოლო დავალების სასახელოდ განაღდებისათვის თავდადებულად შრომობენ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. დამთავრებულია ჩაის პლანტაციების გადაბარვა სასუქების შეტანით, აგრეთვე ჩაის ბუჩქების გასხვლა და სხვა სამუშაოები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ენერგიულად ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის.

სოფელ მერიის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში (თავმჯდომარე შ. ბაბილოძე) წელს 550 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი უნდა მოკრიფონ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 525 ტონისა. მერიელები მომზადებული ხვდებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს. შეაკეთეს საპლანტაციო გზები, შეიძინეს ფოთლის საკრეფი კალათები, გოდრები, სასწორები და სხვა საჭირო ინვენტარი. სეზონისათვის სანიმუშოდ მოემზადნენ აგრეთვე შრომის, გალმა დვაბზუს, ძიმითის, ჭანიეთის, მაკვანეთის, ექადიის კოლმეურნეობები, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

მაგრამ ასე არ ითქმის ჩაის ფაბრიკებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ფოთლის კრეფა რამდენიმე დღეში დაიწყება, ფაბრიკები ყოველმხრივ მზად არ არიან ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის.

აი ამის ფაქტებიც.

ლაითურის ჩაის ფაბრიკაში დღემდე არ დაუმთავრებიათ ახალი საფიქსაციო აპარატის მონტაჟი. ეს სამუშაო მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული. მანქანა-დანადგარებს აკლია ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ ადგილზეც არა აქვთ მიტანილი. საკვირველია, რომ ფაბრიკის დირექცია ყოველივე ამას „წვრილმანებად" თვლის.

ბახვის ჩაის ფაბრიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების რემონტი. შარკოვსკის სისტემის 8 საღნობი აგრეგატიდან შეკეთებულია მხოლოდ ორი. წესრიგზე არ არის მოყვანილი ჩაის მჭრელი მანქანები. მოუწყობელია ჩაის მიმღები პუნქტები. სოფელ ნაგომრის ტერიტორიაზე არსებული ჩაის მიმღები პუნქტის შენობები ავარიულ მდგომარეობაშია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაგომრის კოლმეურნეობის ჩაის ძირითადი პლანტაციები მაღალი ეწრის ჩაის ფაბრიკიდან მხოლოდ 1-2 კილომეტრით არის დაშორებული. მიუხედავად ამისა, ნაგომრელები ფოთოლს ბახვის ჩაის ფაბრიკას აბარებენ, რომელიც ნაგომრიდან 15 კილომეტრზე მდებარეობს.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ნასაკირალის ჩაის ფაბრიკაშია. აქ ჭიანურდება მარდალეიშვილის სისტემის აგრეგატის მოწყობა.

მანქანა-დანადგართა, აგრეთვე ფაბრიკის შენობათა რემონტი ჭიანურდება შრომის, ბაილეთის, მახარაძის პირველ და სხვა ჩაის ფაბრიკებში.

შრომის ჩაის ფაბრიკის მიმღები პუნქტები, რომლებიც სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მდებარეობს, სავსებით მოუწყობელია. პუნქტის შენობები დანგრევის პირზეა.

ფაბრიკები დაკომპლექტებული არ არის საჭირო მუშახელით. მახარაძის პირველ ჩაის ფაბრიკას 220 მუშის ნაცვლად ჰყავს 120. ლაითურის ჩაის ფაბრიკას 100 მუშა აკლია. მსგავსი მდგომარეობაა სხვა ფაბრიკებშიც.

ნაკლებია ზრუნვა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით არა აქვთ მუშათა საცხოვრებელი ბინები, მშრომელები შეუფერებელ სახლებში ცხოვრობენ. მახარაძის პირველი ფაბრიკის მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დანაშაულებრივად ჭიანურდება.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ფაბრიკებში გასულ წელს სისტემატურად ირღვეოდა ჩაის გადამუშავების პროცესები. შრომის ჩაის ფაბრიკაში არაერთხელ დაირღვა ფოთლის ღნობის ტექნოლოგიური რეჟიმი. მსგავსი ფაქტები იყო ბახვის, მაღალი ეწრისა და სხვა ფაბრიკებში. ასეთი რამ წელს არ უნდა გამეორდეს.

შარმან ჩაის მიმღებ პუნქტებში პირველ ხარისხად მიღებული ფოთოლი ჩაის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებს (ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. გვარჯალაძე) თვითნებურად გადაჰყავდათ მეორე ხარისხში, მეორე ხარისხისა კი — უხარისხოში.

გურიანთის ჩაის ფაბრიკის ფოთლის მიმღებ იმ პუნქტებში, სადაც გამგეებად მუშაობდნენ ი. კოსტავა, რ. ქუტიძე, კ. კოსტავა, კ. ქათამიძე, იყო სერიოზული დანაშაულის შემთხვევები. რაიონის პროკურატურა და საგამომძიებლო ორგანოები კი ასეთ შემთხვევებს რატომღაც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

ეს ნაკლოვანებანი და შეცდომები არ იქნებოდა, საქართველოს ჩაის ტრესტი (მმართველი ამხ. მ. კოდუა) ცოცხალ ოპერატიულ ხელმძღვანელობას რომ უწევდეს ჩაის ფაბრიკებს მათ წინაშე დასმული სერიოზული ამოცანების შესრულებაში.

დრო არ ითმენს, ჩაის ფოთლის კრეფისა და მიღება-გადამუშავების სეზონი დადგა! საჭიროა რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყველა ღონისძიება განახორციელონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებისათვის.

რეიდის მონაწილენი:

**მ. შავიშვილი,**
**ს. გაბუნია,**
ჩაის მრეწველობის ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკები,

**ა. ართილაყვა,**
რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის" მუშაკი,

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# წერილები რედაქციას

## რკინიგზელები მოითხოვენ

რკინიგზის 246-ე კილომეტრის გადასასვლელზე, დაბა აგარის ახლოს, მოწყობილია სასმელი წყლის ჭა. რკინიგზის მოსამსახურეებს გარდა წყლით სარგებლობენ მგზავრები, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტით აქ გაივლიან.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტომძღოლი რადიატორში ჩასასხმელად წყალს ჭიდან ხშირად ბენზინის ვედროთი იღებს, რითაც ჭა ჭუჭყიანდება, წყალი იწამლება და სასმელად გამოუსადეგარი ხდება.

ხაშურის სალიანდაგო დისტანციისათვის, რომელსაც ეს ჭა ეკუთვნის, ძნელი არ არის ჭაზე მოაწყოს წყალსაქაჩი და გადახუროს იგი, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ გამოუჩნდა გულშემატკივარი.

რკინიგზელთა კანონიერ მოთხოვნას ანგარიში უნდა გაეწიოს.

რკინიგზელი **დ. ნიორაძე.**

## საკოლმეურნეო ბაზარი კეთილმოუწყობელია

აბაშის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ყოველკვირაობით დიდძალი მომხმარებელი იყრის თავს. აქ პროდუქტები გასაყიდად მეზობელი რაიონების კოლმეურნეებსაც შემოაქვთ. ბაზარი კი კეთილმოუწყობელია.

ბაზრის მოედანი, კერძოდ, ის ადგილი, სადაც სიმინდი, ფქვილი და სხვა პროდუქტები იყიდება, მოასფალტებული არ არის. წვიმის დროს ტალახი დგება, წყალი გუბდება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ისვრება და ფუჭდება.

დიდი უსუფთაობაა ბაზრის იმ განყოფილებაშიც, სადაც რძის პროდუქტები იყიდება. გამყიდველებს არ აცვიათ თეთრი ხალათები, ზოგჯერ რძის ნაწარმს ვეტპუნქტის შეუმოწმებლად ყიდიან. იქ კი, სადაც პირუტყვი იყიდება, წვიმის დროს მისვლა შეუძლებელი ხდება. ყოველივე ეს მომხმარებელთა უკმაყოფილებას იწვევს.

რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება ბაზრის კეთილმოწყობას აჭიანურებს.

**ი. თოფურია.**

## ჩვენი სოფლის კულტურული კერები

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის ბიბლიოთეკა და სასოფლო კლუბი ნაყოფიერად მუშაობენ. ბიბლიოთეკაში მრავლად არის ლიტერატურა რუსულ, ქართულ და ოსურ ენებზე. ბიბლიოთეკის გარშემო ფართო აქტივია შემოკრებილი. ლექტორებსა და მომხსენებლებს ბიბლიოთეკის გამგე ვ. ძუკაევა ურჩევს ლიტერატურას თემების მიხედვით. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა ლექციები საერთაშორისო მდგომარეობაზე, საკოლმეურნეო წარმოების საკითხებზე, მოწინავე გამოცდილებაზე. სისტემატურად იმართება ლიტერატურული საღამოები ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული წრის ძალებით.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია პარტიის XX ყრილობის მასალების გამოფენა. გამოფენასთან ყოველთვის იკრიბება კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი. გაზეთები, რომლებშიც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებია გამოქვეყნებული, ამხ. ძუკაევას მიაქვს ბრიგადებში, ფერმებში, კოლმეურნეთა ბინებში და უკითხავს მათ.

ბიბლიოთეკამ მოწინავე მწველავების ს. გუსოევასა და ნ. მარგიევას დახმარებით მეცხოველეობის ფერმაში მოაწყო წითელი კუთხე, დადგა რადიორეპროდუქტორი, თვალსაჩინო ადგილზე გააკრა კოლმეურნეობის მუშაობის მაჩვენებლები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასოფლო კლუბიც. აქ სისტემატურად იმართება კონცერტები, საღამოები. დრამატული წრე, რომელსაც მ. ხუბულოვი ხელმძღვანელობს, სკეტჩებსა და პიესებს მეზობელ კოლმეურნეობებშიც აჩვენებს. კლუბის გამგე ე. ბედოევა აწყობს თვითმოქმედი წრეების კონცერტების გადაცემას საკოლმეურნეო რადიოკვანძის საშუალებით.

ახლა, როცა მინდვრად საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა, კლუბი და ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეთა შორის. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მთელი თავიანთი საქმიანობით რაზმავენ კოლმეურნეებს საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის საბრძოლველად.

**ზ. ბიჩენოვი,**
სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

## საბურთალოს ახალ მშენებლობებზე



განსაცვიფრებლო სისწრაფით იცვლის სახეს თბილისის ერთ-ერთი ახალი უბანი — საბურთალო. იქ, სადაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაშლილი ველი იყო, ახლა საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მრავალსართულიანი კორპუსები აღმართულა.

საკმარისია ერთხელ გადაავლოთ თვალი საბურთალოს პანორამას, რომ უკვე ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ აქ წარმოებული მშენებლობის მასშტაბებზე. თითქმის ყოველ ქუჩაზე აღმართულა მძლავრი კოშკურა ამწეები, ისმის აგურით, ცემენტით და სხვა საშენი მასალებით დატვირთული სატვირთო მანქანების განუწყვეტელი გუგუნი. ხარაჩოებზე ფუსფუსებენ მშენებლები, ისინი ყოველდღიურად ზრდიან მუშაობის ტემპებს, რათა პირნათლად გაანაღდონ საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ ახალი შენობები.

დიდი ხანი არ არის, რაც პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა მობინადრეთა შესასახლებლად გადასცა 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლი კომინტერნის ქუჩაზე. ახლა მშენებლებს უკვე ამოჰყავთ ახალი 36-ბინიანი შენობის მეორე სართულის კედლები პავლოვის ქუჩაზე. მათ გადაწყვეტილი აქვთ 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ ამ შენობის აგება. მთელი კოლექტივი ენერგიას არ იშურებს ყოველდღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი კალატოზებმა გ. მოდრეკელიძემ, ვ. ჩიბურდანიძემ, მებეტონემ რ. ქოქიაურმა, დამხმარე მუშამ ა. კუხიანიძემ.

* * *

**სურათზე:** წინა პლანზე — კალატოზი გ. მოდრეკელიძე (მარცხნივ) და დამხმარე მუშა ა. კუხიანიძე მუშაობენ კედლის ამოყვანაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „ხვნა ჭიანურდება, თესლი უკონდიციოა"

ამ სათაურით „კომუნისტის" 1 მარტის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო ცხაკაიას რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში.

პარტიის ცხაკაიას რაიკომმა კრიტიკა სწორად ცნო და მიიღო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საგაზაფხულო ხვნაში ჩამორჩენის დაშვებისათვის მკაცრი გაფრთხილება მიეცათ თეკლათის ლენინის სახელობის, ნოსირის სტალინის სახელობის, ნაქალაქევის თოფურიძის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და პარტორგანიზაციების მდივნებს, ხოლო ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ბარკალაიას და პარტორგანიზაციის მდივანს ო. ხამაშურიძეს მიეთითათ.

# მამხილებელი სპექტაკლი

თეატრი

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობისადმი მიმართვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სახავდა რა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა და წინსვლის გზებს, მოუწოდებდა საბჭოთა მწერლებს აქტიურად შეჭრილიყვნენ სინამდვილეში და სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით მრავალფეროვნად აესახათ ჩვენი ცხოვრება.

არ მეგულება არცერთი საბჭოთა მწერალი, რომელსაც ყრილობის შემდეგ არ გაღვიძებოდეს სურვილი ახლის ძიებისა, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შექმნისა.

ცხადია, ჩვენს მწერლებს — ბელეტრისტებს, დრამატურგებს ამ ახლის ძიებაში გატკეპნილი და გაკვალული გზა არა აქვთ. გავიხსენოთ თუნდაც „უკონფლიქტობის თეორიის" მძიმე პერიოდი, როდესაც ამ თეორიის მომხრეთა წყალობით თუნდაც ისეთი ჟანრი ჩვენი ლიტერატურისა, როგორიც არის დრამატურგია, კინაღამ ჩიხში მოემწყვდა.

ჩვენში ხშირად უყვართ ლიტერატურის თეორეტიკოსებს სწორედ თეორიულად აღიარება იმისა, რომ საჭიროა საბჭოთა მწერლობამ მძაფრი სატირის იარაღით ამხილოს ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარეები, ულმობელი ბრძოლა გამოუცხადოს ადამიანთა მავნე ჩვევებს და დრომოჭმული ბურჟუაზიული ყოფის ცუდ გადმონაშთებს. მაგრამ როგორც კი საქმე ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრაზე მიდგება, ზოგიერთი კრიტიკოსი ვერ ერკვევა როგორი ან რა ხასიათისა უნდა იყოს ეს სატირა და იუმორი, ისინი ეძებენ სატირაში დასაშვები ტიპებისა და ხასიათების რაღაც ნომენკლატურას, ეძებენ, თუ რა რაოდენობით ან დოზებით შეიძლება გამოვიყენოთ უარყოფითი და დადებითი, ვთქვათ სატირულ კომედიაში.

მართალია, ასეთი „თეორიული" მოსაზრებანი დროზე იქნა დაგმობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში ზოგიერთი კრიტიკოსი კვლავ ჩაფრენია უარყოფითისა და დადებითის დოზირების აუცილებლობას.

კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძაღლია" ეკუთვნის ისეთი ჟანრის სატირულ კომედიას, სადაც თამამად არის მხილებული ჩვენი ცხოვრების ცუდი მხარეები და ადამიანთა ცუდი თვისებები.

ერთ-ერთ ასეთ ცუდ თვისებას წარმოადგენს ანონიმური წერილების წერა.

დრამატურგ კ. ბუაჩიძის პიესის მთავარი გმირი ივანე ლაითაძე სწორედ ასეთი ანონიმური წერილების წერის ოსტატის განზოგადებულ სახეს წარმოადგენს. მოქმედება ძველებურ თბილისურ სახლში მიმდინარეობს, იმ სახლში, რომელსაც აივნები დამპალი და ჩამონგრეული აქვს, კედლებიც ჩამოტყაული, სახურავიც მინგრეულ-მონგრეული. ავტორს აქ თითქოს სიმბოლიურად გაუაზრებია, რომ ყოველივე ეს ძველი და დახავსებულია და აქ მცხოვრებ ზოგიერთ ადამიანთა დახავსებული ჩვევები ძველმა ცხოვრებამ დაგვიტოვა მემკვიდრეობით, ისე, როგორც ეს სახლი მემკვიდრეობით დარჩენია პატიოსან ახალგაზრდა მოქანდაკეს ირინე კახიძეს მამისაგან, ახლა რომ ამ ხელოვან ქალს სიცოცხლეს უმწარებს.

პიესის სახელწოდებაა „ეზოში ავი ძაღლია". ამ ძაღლს ნამდვილად სცენაზე ჩვენ ვერ ვხედავთ, იგი კულისებს იქით ყეფს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ავი ძაღლი სინამდვილეში სულ სხვაა.

პიესის მთავარი გმირი ივანე ლაითაძე მართლაც რომ ავი ძაღლია, რომლის მსგავსს თქვენ ზოგიერთ არა თუ ძველ, ახალ სახლშიც შეხვდებით. ეს მედროვე არამზადა, რომელსაც მიუთვისებია ინჟინრის წოდება, თავი დიდად იდეურ და სპეტაკ ადამიანად მოაქვს, ამ სახლში დაპატრონებია ყველაზე კარგ სამ ოთახს, ხოლო სახლის პატრონს, ახალგაზრდა მოწინავე ხელოვან ქალს, რომელსაც მოტყუებით ერთ განაპირა ოთახში გაასახლებს, ტუჩაბზუებით ნათლავს კერძო მესაკუთრედ. მაგრამ ლაითაძე მარტო ირინეს როდი ებრძვის. იგი არავის არ აძლევს მოსვენებას, თხზავს მეზობლებზე ჭორებს, წერს ანონიმურ წერილებს და გზავნის ყველგან, რედაქციებში, პროკურატურაში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ლაითაძეს გულზე ორი მედალი ჰკიდია და ამ მედლებით ცდილობს თავი ღირსეულ საბჭოთა მშრომელ ადამიანად მოგვაჩვენოს. ავტორს მეტად გონებამახვილურად გამოუყენებია ყველა ის ხერხი, რომელსაც ასეთი ტიპის ადამიანები მიმართავენ, როდესაც თავის თვისებებს ურცხვად სხვას მიაწერენ, ხოლო საკუთარი თავი უმანკო ანგელოზებად გამოჰყავთ. „შენ შეგიძლია საცხოვრებელი ფართობი წაგვართვა, — ეუბნება ლაითაძის ცოლი ფოფია სახლის პატრონს, მოქანდაკე ირინეს, — შეგიძლია შეგვავიწროვო, მაგრამ ის, რაც კონსტიტუციამ მოგვანიჭა... ვერ წაგვართმევ სიტყვის თავისუფლებას!" ეს იმ დროს, როდესაც თვით ფოფიამ და მისმა ქმარმა წაართვეს ფართობი და შეავიწროვეს ირინე და მას ხმის ამოღების საშუალებასაც კი არ აძლევენ. ხოლო როდესაც ამ თავისდაუნებურმა „კერძო მესაკუთრემ" ნიჭიერმა მოქანდაკემ ირინემ განიზრახა საკუთარ ეზოში სამუშაო ატელიეს აგება, ამას წინაღუდგა ლაითაძე. თურმე ნუ იტყვით, ეს ატელიე მის სათავსს ჩამავალი მზის სხივებს უფარებს.

და იწყება ლაითაძის თავახსნილი ბრძოლა ამ ატელიეს აშენების წინააღმდეგ, მაგრამ ყველგან წააგო ომი. არ გაჭრა მისმა უსახელო წერილებმა და დაბეზღებებმა, ვერც ცრუმოწმეები იშოვნა. ბოლოს მან შანტაჟს მიმართა: გადაწყვიტა დამპალი თოკით თავის ჩამოხრჩობა იმ იმედით, რომ თოკი გაწყდება — მე გადავრჩები, მაგრამ ჩემი ეს თვითმკვლელობის განზრახვა გავლენიან ადამიანებს დააფრთხობს და ამით ბედის ჩარხს ჩემს სასარგებლოდ დავატრიალებო. ...მაგრამ მოულოდნელად თოკმა გაუძლო და ლაითაძე მართლა დაიხრჩო.

ასეთია მოკლედ ამ ორიგინალური კომედიის შინაარსი. მგონი პირველად არის დრამატურგიაში ოსტატურად გამოყენებული ისეთი სიტუაცია, როცა ამგვარ ტრაგიკულ ფინალზე აუდიტორია გულიანად ხარხარებს.



სცენა სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია".

ვერ ვიტყვით, რომ ეს პიესა უნაკლო იყოს. ყოველი მოქმედი გმირის სახე როდია ერთნაირი სიძლიერით და მხატვრული დამაჯერებლობით დაწერილი. თუ ავტორს კარგად გამოუვიდა მთავარი გმირის — უარყოფითი ტიპის — ივანე ლაითაძის, პატიოსანი უბრალო ადამიანის ალექსანდრე ჩინჩახოვის, ასევე დადებითი პერსონაჟის მეეზოვე სარეს, ეზო-ეზო მოხეტიალე ცაცანას, ადვოკატ რუბენ მინდელოვის და ფუქსავატი ახალგაზრდის გურამ შელიას სახეები, შედარებით უფერულნი არიან ისეთი დადებითი გმირები, როგორც, მაგალითად, არქიტექტორი ლეო ლანდია, სახლის პატრონი ირინე კახიძე, საპარაშუტო სპორტის ოსტატი ელო გოგნიაური.

დამდგმელ რეჟისორს გურამ პატარაიას გულმოდგინედ უმუშავნია და ჩვენს წინაშე მართლაც საინტერესო, უაღრესად რეალისტური სპექტაკლი ვითარდება. ამას ხელს უწყობს მხატვარ ფ. ლაპიაშვილის მოხერხებული და გონებამახვილური დეკორაცია. მართალია პიესა ალაგ-ალაგ მეტად პირობითს ხასიათს ატარებს და ზოგიერთი ეპიზოდი ზედმეტად ჰიპერბოლიზებულია (მაგალითად, როცა ლაითაძეს ეჩვენება, თითქოს ატუსაღებენ და თავის ლეიბ-საბნით გარეთ გამოდის, რათა ნებაყოფლობით ჩაბარდეს), მაგრამ მთლიანად იგი ნორმალური ხაზებით ვითარდება.

რუსთაველის თეატრის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი თამაშით და სიტყვის თავისუფალი ამეტყველებით გვახარებს ამ სპექტაკლის თითქმის ყოველი მონაწილე. განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ნოდარ ჩხეიძე (ალექსანდრე ჩინჩახოვი), ელ. საყვარელიძე (ცაცანა) და მ. ჩახავა (სარე). ყოველი მათგანი ქმნის უაღრესად კოლორიტულ სახეს და თავისი წარმტაცი, მხატვრულად გააზრებული შესრულებით ხიბლავს მაყურებელს. ასევე საინტერესო სახეებს ქმნიან ს. ყანჩელი (როზიტა), ვ. დოლიძე (რუბენ მინდელოვი), ლ. ღამბაშიძე (ფოფია) და ალ. თოიძე (ვარვარა).

ამავე დროს დადებითი პერსონაჟები, როგორიც არიან ირინე კახიძე (მსახ. ნ. მგალობლიშვილი), ელო გოგნიაური (მსახ. ზ. ფალიაშვილი), ლეო ლანდია (გურ. სალარაძე), ერთგვარად მოკლებული არიან დამაჯერებლობას. ამ უდაოდ ნიჭიერ მსახიობებს ზღუდავს სალაპარაკო ტექსტი, ამიტომ მათ ვერ შეძლეს გამოეკვეთათ ნათელი, მხატვრულად სრულყოფილი ხასიათები. პიესის მიხედვით ფერმკრთალია აგრეთვე სტილიაგა ყმაწვილი გურამ შელია, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობის კ. საკანდელიძის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მან ხელი ჩასჭიდა როლის დადებით მარცვალს და შეძლო პლასტიკურად მოეცა ფუქსავატი ახალგაზრდის სატირული სახე. მეტად ოსტატურია მისი მიმოხვრა და გავლა სცენაზე. მსახიობმა ჩინებულად მოხაზა უარყოფითი ტიპის განზოგადებული სახე.

ცალკე უნდა შევჩერდეთ მთავარი როლის შემსრულებელ ბ. ზაქარიაძეზე. მის მიერ როლის ერთგვარად ჰიპერბოლური გააზრება თავისთავად შეიძლება ძალიან კარგიც იყოს და იქნებ უფრო სწორიც ყოფილიყო, რომ მთლიანად სპექტაკლი ამ ეგრეთწოდებული ბუფონადური გზით განვითარებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ბ. ზაქარიაძე ოდნავ დაშორებულია ანსამბლს და ნაწილობრივ საერთო კოლორიტს არ შეეხამება. მისი უზომოდ გაძლიერებული ჟესტი, მიმიკა და ისტერიამდე მისული ხმა შეიძლება მაყურებელზე კიდევაც ახდენდეს ზეგავლენას და იწვევდეს სიცილის აფეთქებას, მაგრამ რა მომგებიანიც უნდა იყოს ასეთი თამაში, მსახიობი მაინც ვალდებულია არ გამოდიოდეს ანსამბლის საერთო კოლორიტიდან. ბ. ზაქარიაძე დიდი შესაძლებლობის მქონე მსახიობია და რაც უფრო ადრე განთავისუფლდება თამაშის ასეთი მანერისაგან, მით უკეთესი იქნება.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ჩვენ გვსურს შევქმნათ სატირული ჟანრის, მამხილებელი დრამატურგია, თუ გვინდა თამამად გამოვიყვანოთ სააშკარაოზე ჩვენი საზოგადოებისათვის შეუფერებელი მავნე ჩვევებისა და ხასიათის ადამიანები, მაშინ კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძაღლია", მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ნამდვილად მისასალმებელია დრამატურგ კ. ბუაჩიძის კეთილშობილური ცდა, ისევე როგორც მისასალმებელია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გაბედული ნაბიჯი, როცა მან თამამად და მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი ასეთი მწვავე სატირული ჟანრის პიესის განხორციელებას.

**აკაკი ბელიაშვილი.**

# დიდი ჩეხი პედაგოგი და განმანათლებელი

## იან ამოს კომენსკის პედაგოგიური შრომების გამოქვეყნების 300 წლისთავის გამო

ჩვენი ქვეყნის ხალხი მთელ კულტურულ კაცობრიობასთან ერთად, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 15 აპრილს ზეიმით აღნიშნავს დიდი ჩეხი პედაგოგისა და განმანათლებლის იან ამოს კომენსკის პედაგოგიური შრომების გამოქვეყნების 300 წლისთავს. იან კომენსკი (1592-1670) იყო სახელოვანი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, რომელმაც შეძლო XVII საუკუნის ფეოდალური კარჩაკეტილობის პირობებში თავისი მშობლიური ქვეყნის ეროვნული განთავისუფლებისა და განათლების ინტერესები მჭიდროდ დაეკავშირებინა სხვა ქვეყნების განათლების ამოცანებთან და „ხალხთა მასწავლებელი“ გამხდარიყო.

კომენსკის მშობლები და შემდეგ თვით კომენსკიც ეკუთვნოდნენ „ბოჰემიის ძმობის“ კავშირს, რომელიც შეიქმნა ჩეხიის ნაციონალურ-რელიგიური მოძრაობის მეთაურის და რეფორმატორის იან ჰუსის (1369-1415) მიმდევრების („თაბორიტების“) განადგურების შემდეგ, და მათს რელიგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეებს იზიარებდა. იან კომენსკი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა ჰერბორნის აკადემიაში, ხოლო ორი წლის შემდეგ გადავიდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ლექციებს საღვთისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკურ და ფილოსოფიურ დისციპლინებში. 1614 წელს დაბრუნდა ქალაქ პრეროვში და შეუდგა იმ საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას, რომელიც თვითონ ჰქონდა დამთავრებული. 1618 წელს აირჩიეს ქ. ფულნეკის სკოლის პასტორისა და ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

1618 წელს ჩეხიაში იფეთქა ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648), რომელიც თავდაპირველად მიმართული იყო ჩეხიაში ავსტრია-გერმანიის მონარქიზმის და კათოლიკური ეკლესიის ბატონობის წინააღმდეგ. „ბოჰემიის ძმობა“ და სხვა პროტესტანტები იან კომენსკის ხელმძღვანელობით ენერგიულად იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ მალე 30-წლიან ომში ჩაებნენ თითქმის მთელი დასავლეთ ევროპის რეაქციული ძალები, რომლებმაც ავსტრიის ჰაბსბურგთა დინასტიის მეთაურობით 1620 წელს თეთრ მთასთან დაამარცხეს ჩეხიის ჯარი და შეუდგნენ ჩეხია-მორავიაში ეროვნულ-პროტესტანტული მოძრაობის ჩაქრობას. „ბოჰემიის ძმობამ“ და პირადად იან ამოს კომენსკიმ დიდხანს ვერ გაუძლეს დევნა-შევიწროებას და 1628 წლის თებერვალში იძულებული იყვნენ სამშობლო დაეტოვებინათ.

სამშობლოს დატოვება კომენსკისათვის დიდი სულიერი დრამა იყო. როდესაც ის და მისი თანამგზავრი პატრიოტები სამშობლოს საზღვრების უკანასკნელ მთას ტოვებდნენ, მათ დაიჩოქეს ერთი უღელტეხილის მაღლობზე, მუხლმოდრეკილი გადაჰყურებდნენ მშობლიურ მიწას, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდნენ და ფიცს აძლევდნენ ერთმანეთს საზღვარგარეთაც ებრძოლნათ თავიანთი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის. კომენსკის აღარ ღირსებია სამშობლოში დაბრუნება. მან პირველი თავშესაფარი ჰპოვა პოლონეთის ქალაქ ლეშნოში. კომენსკიმ 1632 წელს აქ დაასრულა ჩეხიაში დაწყებული თავისი შესანიშნავი ნაწარმოები „დიდი დიდაქტიკა“, დაწერა აგრეთვე ენციკლოპედიური წიგნი „პანსოფია“ და სხვა სახელმძღვანელოები. ამ წიგნებმა მთელ ევროპაში გაუთქვეს სახელი მის ავტორს. მას იწვევდნენ მრავალ ქვეყანაში (ინგლისი, შვეცია, უნგრეთი) და ყველგან დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. 1654 წელს კომენსკი კვლავ პოლონეთის ქალაქ ლეშნოში დაბრუნდა, მაგრამ 1656 წელს, პოლონეთ-შვეციის ომის დროს, ამ ქალაქის განადგურების შემდეგ გადასახლდა ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში, სადაც დაასრულა თავისი სიცოცხლე 1670 წელს.

იან ამოს კომენსკის დამსახურება კაცობრიობის წინაშე ამით არ ამოიწურება. მის სახელთან დაკავშირებულია პედაგოგიკის დამკვიდრება ახალ მეცნიერულ საფუძველზე. მან შეისწავლა და გამოიყენა ყველა საუკეთესო მონაპოვარი, რომელიც კი აღზრდისა და სწავლა-განათლების თეორიას ჰქონდა თავისი განვითარების მანძილზე, შეისწავლა და განაზოგადა თავისი დროის სკოლისა და მასწავლებლის დადებითი გამოცდილება, შეავსო და გაამდიდრა ეს თეორია და გამოცდილება თავისი პედაგოგიკური იდეებით და ერთ მთლიან სისტემად ჩამოაყალიბა ყოველივე ის, რაც ძველი კლასიკური მემკვიდრეობის სახით მიიღო და რაც თვითონ შეიტანა პედაგოგიკური მეცნიერების საგანძურში.



იან კომენსკიმ განათლება აღიარა ადამიანის ღირსების საქმედ და მოითხოვა საყოველთაო სწავლება ყველა სოციალური ფენისა და ორივე სქესის ახალგაზრდობისათვის. აღზრდის ზოგად მიზნად მან დასახა ადამიანის მომზადება ცხოვრებისათვის და სწავლა-განათლების ყველა საშუალება ამ მიზანს დაუქვემდებარა. კომენსკი მოითხოვდა, რომ ბავშვებს ესწავლათ „ყოველივე ადამიანური“, ყოველივე ის, რაც მათ აქცევდა „ბრძენ, კეთილმოქმედ, სათნო ადამიანებად“ და, გამოდიოდა რა ბეკონის სენსუალიზმიდან, გრძნობადს გამოცდილებას აღიარებდა შემეცნების წყაროდ, სწავლების პროცესს ამკვიდრებდა საგანთა თუ მოვლენათა პირდაპირ დაკვირვებასა და უშუალო აღქმაზე. ბავშვთა შემეცნებითი უნარის განვითარება აღიარა მან სწავლების უმთავრეს ამოცანად, ამ საფუძველზე განსაზღვრა მისი შინაარსი, პრინციპები, წესები, მეთოდები და ამგვარად შექმნა სწავლების მწყობრი თეორია ანუ დიდაქტიკა.

იან კომენსკიმ, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი შესანიშნავი შრომა მიუძღვნა მოზარდ თაობათა აღზრდა-განათლებისა და სწავლების საკითხებს, მაგრამ მისი „დიდი დიდაქტიკა“ წარმოადგენდა შუა საუკუნეების პედაგოგიკის მწვერვალს. ამ წიგნით მან გამიჯნა ძველი და ახალი, სწავლა-განათლების სახალხო საქმე გამოიყვანა „ძველი ლაბირინტიდან“ და ახალი რეალიზმის ერა დაიწყო პედაგოგიკის ისტორიაში.

კომენსკის რეალისტური პედაგოგიკის საფუძველს წარმოადგენდა მის მიერ წამოყენებული ორი ძირითადი პრინციპი: აღზრდის ბუნებისდაგვარობა და განათლების განპირობება საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებით. პირველი პრინციპი მოითხოვდა ბავშვის შინაგანი ანუ ფსიქიკური ბუნების გაშლა-განვითარებას გარეშე ანუ ფიზიკური ბუნების კანონების მიხედვით და ამით ათავისუფლებდა მოზარდ თაობათა აღზრდას რელიგიური დოგმატებისაგან, ხოლო მეორე აღიარებდა ცნობიერების გამდიდრებას მხოლოდ რეალური, ნამდვილად გამოსადეგი ცოდნით. ბრძენი ის კი არ არის, ვინც იცის ბევრი, მაგრამ ნაკლებად გამოსადეგი, არამედ ის, ვინც იცის მხოლოდ საჭირო და გამოსადეგი, აცხადებდა იან კომენსკი. ბავშვის ნამდვილი ცოდნა შენდება არა პასიურ რწმენაზე, არამედ დარწმუნებასა და შეგნებაზე. ასეთი ცოდნის წყაროს წარმოადგენს არა წიგნი და ავტორიტეტი, არამედ ბუნება და მისი მოვლენები, ადამიანი და მისი ცხოვრება. ყოველივე ეს უნდა ისწავლებოდეს უშუალო დაკვირვებით, თვალსაჩინოდ, თანმიმდევრულად, ერთმანეთთან კავშირში და მიზეზობრიობის საფუძველზე.

ადამიანის დანიშნულების მიხედვით კომენსკი არკვევდა მორალური აღზრდის ამოცანებსაც. მისი აზრით, „ადამიანი არის ყველაზე უფრო მაღალი, უფრო სრულყოფილი და უფრო აღმატებული ქმნილება“. ის ყოველთვის უნდა იდგეს თავისი „მეფური მოწოდების“ სიმაღლეზე და ამისათვის მას უნდა ახასიათებდეს ოთხი ძირითადი სათნოება, ანუ თვისება: სიბრძნე, ვაჟკაცობა, ზომიერება და სამართლიანობა. ამასთან ერთად კომენსკი ჩამოთვლის მთელ რიგ ზნეობრივ პრინციპებს, რომელთა აღზრდის შედეგად ადამიანს უნდა შეემუშავდეს ზემოაღნიშნული ოთხი ძირითადი თვისება და გახდეს კეთილმოქმედ პიროვნებად. მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეუძლია დაჰგმოს დაბალი გრძნობები და იზრუნოს „ადამიანთა მთელი მოდგმის კეთილდღეობისათვის“. ეს ეთიკური იდეები ცხადყოფენ, რომ იან კომენსკი იყო უდიდესი ჰუმანისტი, რომელიც ადამიანის სიყვარულთან და მისდამი პატივისცემასთან ერთად მოითხოვდა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას და მისთვის თავდადებას პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა სრული ჰარმონიის საფუძველზე.

მომავალ თაობათა აღზრდის პირველ კერად კომენსკი მიიჩნდა ოჯახი, მაგრამ მათი სწავლა-განათლების უმთავრეს ორგანოდ აღიარებდა სკოლას. ის მკაცრად ილაშქრებდა თავისი დროის უშინაარსო, ზეპირსიტყვიერი და წოდებრივი სკოლების წინააღმდეგ და მათი შეცვლის მიზნით შექმნა აღზრდა-განათლების ახალი სისტემა, რომელიც ოთხი ტიპის სკოლას შეიცავდა: 1. დედობრივი სკოლა, ანუ ოჯახი, რომელიც განისაზღვრებოდა საშინაო აღზრდის ამოცანებით და განკუთვნილი იყო 1-6 წლის ბავშვთათვის; 2. მშობლიური ენის სკოლა 6-12 წლის ყრმათათვის; 3. ლათინური ენის სკოლა ანუ გიმნაზია 12-18 წლის მოზარდთათვის და 4. აკადემია ანუ უნივერსიტეტი 18-24 წლის ყმაწვილთათვის. კომენსკიმ დაადგინა ყველა ამ სკოლის სასწავლო გეგმები, გაარკვია მათი მუშაობის შინაარსი და ხელმძღვანელობის წესები. სკოლას კომენსკი თვლიდა კულტურული ახალგაზრდობის „მომშენებელ სანამყენედ“ და მისი ქსელის გავრცელება და გაუმჯობესება მიაჩნდა დიდ სახალხო საქმედ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იან კომენსკის დიდი ღვაწლი მშობლიური ენის შესწავლის უდიდესი მნიშვნელობის დასაბუთებისა და მისი სწავლების მეთოდიკის შემუშავების დარგში. კომენსკიმ მეცნიერული დაკვირვების შედეგად დაამტკიცა, რომ დედაენა არის აზროვნების ბუნებრივი და ადვილი საშუალება და წარმოადგენს მის (აზროვნების) ყველაზე რეალურ ფორმას. ამასთან, დედაენა და მშობლიური ენის სკოლა, კომენსკის სავსებით მართებული აზრით, წარმოადგენენ ეროვნული ერთიანობის მტკიცე საფუძველს და ამიტომ დედაენის უცოდინრად არ შეიძლება არათუ ხეირიანი აზროვნება, არამედ არც ეროვნული ინტერესების სამსახური.

იან კომენსკი მოზარდ თაობათა აღზრდა-განათლების სხვა საკითხებზეც მუშაობდა. მან გააფართოვა პედაგოგიკის საკვლევი ამოცანები, მისი მეთოდები და პრობლემატიკა. ამით მან შექმნა რეალური პირობები პედაგოგიკის როგორც მეცნიერების აღმოცენებისათვის და გახდა მისი წინამორბედი.

მართალია, იან კომენსკი, როგორც თავისი ეპოქის შვილი, რომელსაც ახასიათებდა მძაფრი იდეოლოგიური წინააღმდეგობანი, და როგორც სასულიერო პირი, ვერ ასცდა რელიგიის გავლენას, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის მატერიალისტური საწყისები უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ. ამასთან დიდმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას გამხდარიყო პედაგოგიკის კორიფე და ხალხთა განმანათლებელი. კომენსკის სახელით მუდამ იამაყებს არა მარტო ჩვენი მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხი, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობა.

**პროფესორი ზ. თავზიშვილი,**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

## იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის

ტოკიო, 12 აპრილი. (საკდესი). იაპონიაში ფართოვდება იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც მხარს უჭერენ იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

ამ ორგანიზაციათა შორის არის იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ასოციაცია, რომელიც რეორგანიზებულ იქნა ამა წლის დამდეგს. როგორც ასოციაციის წესდებიდან ჩანს, იგი ამოცანად ისახავს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ორ ქვეყანას შორის იაპონიისა და სსრ კავშირის ხალხების ურთიერთგაგების გაღრმავების საფუძველზე. ასოციაციაში შედიან იაპონიის პოლიტიკური და კულტურული წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მათ შორის არიან პარლამენტის დეპუტატი და ასოციაციის თავმჯდომარე ტოკუტარო კიტამურა, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კუმაიცი იამამოტო, ცნობილი იაპონელი მწერალი მასაო იონეკავა.

ახლა ასოციაციამ დაიწყო ყოველთვიური გაზეთის „ნისო ძიძის“ („იაპონია-საბჭოთა კავშირის უწყებანი“) გამოცემა. გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია ასოციაციის თავმჯდომარის კიტამურას სტატია — „იაპონიისა და სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საფუძველზე“, განყოფილება საბჭოთა ციმბირის განვითარების შესახებ, მასალები საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ და სხვ.

ასოციაციის თავმჯდომარე კიტამურა, ეხება რა თავის სტატიაში საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მოახლოებულ მე-40 წლისთავს, წერს: ეს მცირე ისტორიული პერიოდია. მაგრამ მეტად დიდია წარმატებანი, რომლებიც სსრ კავშირმა ამ წლებში მოიპოვა, და საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი. ლაპარაკობს რა შემდეგ საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებზე კულტურისა და ეკონომიკის დარგში, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას იაპონელ და საბჭოთა ხალხებს შორის, რომლებიც უახლოესი მეზობლები არიან.

## მდგომარეობა იორდანიაში

ჰალები, 12 აპრილი. (საკდესი). ამანიდან იუწყებიან, რომ იორდანიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.

როგორც პრესა იუწყება, გუშინ ამანში, ნაბლუსსა და იორდანიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ნაბულსის მთავრობის გადაყენების წინააღმდეგ.

იორდანიის პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ შეიქმნას კოალიციური მთავრობა. ამ მთავრობამ, ნათქვამია რეზოლუციაში, უნდა განახორციელოს მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, გამოვიდეს უცხოეთის სამხედრო პაქტების წინააღმდეგ და განსაკუთრებით „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ წინააღმდეგ, აგრეთვე ეცადოს, რომ შეიქმნას სირიისა და ეგვიპტის ფედერალური კავშირი.

სირიაში მიღებული ცნობებით, ერაყის ჯარებს სასწრაფოდ უყრიან თავს იორდანიის საზღვართან იმ განზრახვით, რომ ჩაერიონ იორდანიის საშინაო საქმეებში და მხარი დაუჭირონ რეაქციულ ძალებს.

## ლიტვა—საქართველო

### ტრადიციული მატჩი მძლეოსნობაში


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივი სხვადასხვა სახის ტრადიციული შეჯიბრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ლიტვისა და სხვა მოძმე რესპუბლიკებთან. ეს შეხვედრები რიგ-რიგობით იმართება, როგორც თბილისში, ისე ამ რესპუბლიკათა ქალაქებში და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ასეთი სახის ერთ-ერთ ტრადიციულ შეჯიბრებას წარმოადგენს ლიტვისა და საქართველოს რესპუბლიკების მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების მატჩი.

ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების მორიგი მატჩი საზეიმოდ გაიხსნა გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

ლამაზად იყო მორთული მოედანი ცენტრალური ტრიბუნის წინ. სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები მზად იყო შეჯიბრებისათვის.

ასპარეზობა დაიწყო თარჯრბენით ვაჟთათვის 110 მეტრზე.

სტარტზეა 4 სპორტსმენი. მსაჯის დამბაჩის ხმამ ჰაერი გააპო. მოწინააღმდეგენი ადგილიდან სწრაფად მოწყდნენ, დისტანციაზე ცხარე ბრძოლა გაიმართა. დაწინაურდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ლეჟავა. მის მიერ ნაჩვენები დრო შეადგენდა 14,6 წამს. ეს შედეგი საქართველოს რეკორდის განმეორებაა. გამარჯვებულს მხოლოდ 2 წამით ჩამორჩა სტუმართა წარმომადგენელი ბალსისი, რომელმაც ლიტვის ახალი რეკორდი დაამყარა. მესამე ადგილი დაიკავა გვინჩიძემ (15,2 წამი).

თითქმის ერთდროულად დაიწყო შეჯიბრება ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში, ჰოკით სიმაღლეზე ხტომაში, რბენებში. მძლეოსნურ სექტორებზე მიმდინარეობდა საინტერესო ბრძოლები. ბირთვის კვრაში ვაჟთა შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ვარანაუსკასი (15 მეტრი და 52 სანტიმეტრი). საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ბლიაძემ შედეგით — 15 მეტრი და 25 სანტიმეტრი მეორე ადგილი დაიკავა.

სპრინტერთა შეჯიბრება მძლეოსნური სპორტის ერთ-ერთი მიმზიდველი სახეობაა. სტარტზე ოთხი სპორტსმენი განლაგდა. ესენი იყვნენ 100 მეტრზე რბენაში მებრძოლი ვაჟები. თავიდანვე ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენელი ანთაძე დაწინაურდა და ფინიშიც მან გაარღვია შედეგით 10,5 წამი. ანთაძის ეს შედეგი უთუოდ კარგი მიღწევაა. საქართველოს გუნდის მეორე წარმომადგენელმა ტრაპაიძემ მეორე ადგილი დაიკავა (10,8 წამი), მომდევნო ორი ადგილი სტუმრებმა დაიკავეს.

ამავე დისტანციაზე ქალთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ოვიგიან (საქართველო, 12,2 წამი). მეორე ადგილზე გამოვიდა პტრიკაიტე (ლიტვა, 12,4 წამი).

ბადროს ტყორცნა ქალთათვის დამთავრდა სესაძის გამარჯვებით (48 მეტრი და 10 სანტიმეტრი). მეორე ადგილზე გამოსულმა სპორტსმენმა სკინსკაიტემ აჩვენა შედეგი 42 მეტრი და 49 სანტიმეტრი.

საერთო ყურადღებას იპყრობდა შეჯიბრება 5.000 მეტრზე რბენაში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სტაიერი სპორტის ოსტატი პაპინე. სტარტის აღებიდანვე მისი უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც ადვილად მოიპოვა.

გუშინ გაიმართა აგრეთვე შეჯიბრება 200, 400 და 800 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, შუბისა და უროს ტყორცნაში.

პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსნური სპორტის 6 სახეობაში შეგროვილი ქულების მიხედვით წინ არის საქართველოს გუნდი.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

**სურათზე:** ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩის მონაწილეთა პარადი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

## პრესისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა

ორშაბათს, 15 აპრილს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივები აწყობენ პრესისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრას.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, სომხური დრამის, მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაყურებელთა თეატრებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

## ინგლისში ფართოვდება ბრძოლა ატომური ბომბების გამოცდის წინააღმდეგ

ლონდონი, 12 აპრილი, (საკდესი). ინგლისში დღითიდღე ფართოვდება ბრძოლა იმისათვის, რომ ხელი აიღონ მთავრობის მიერ განზრახულ ატომგულის აფეთქებაზე წყნარი ოკეანის შობის კუნძულზე. ამ ბრძოლაში ებმებიან ინგლისის საზოგადოებრიობის სულ ახალი ფენები. როგორც იუწყებიან, მანჩესტერში ინგლისის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფმა შექმნა განზრახული გამოცდის აკრძალვისათვის ბრძოლის საგანგებო კომიტეტი.

დღეს კომიტეტის წევრებმა გამოაქვეყნეს მოწოდება ამ ბრძოლის დასაფინანსებლად სახსრების შეგროვების შესახებ. მოწოდებას, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ ფურცლებზე, ხელი მოაწერეს ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ბერტრან რასელმა, რადიოს მსახიობმა მილიგანმა, მწერალმა ლოურენს ჰაუსმენმა, პოეტმა ალექსანდრე კომფორტმა და სხვ.

კომიტეტის წევრებს განზრახული აქვთ კონტაქტი დაამყარონ იაპონიის მთავრობასთან, რათა ერთობლივი ღონისძიებებით იბრძოლონ იმისათვის, რომ გაუქმდეს ინგლისის თერმოატომგულის იარაღის გამოცდა წყნარი ოკეანის რაიონში.

## უნგრეთ-ალბანეთის სავაჭრო შეთანხმება

ბუდაპეშტი, 12 აპრილი. (საკდესი). ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს უნგრეთისა და ალბანეთს შორის შეთანხმებას საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ 1957 წლისათვის. შეთანხმების მიხედვით ალბანეთი უნგრეთს მიაწვდის ქვანახშირს, სპილენძს, ცემენტს, ტყავს, თამბაქოს და სხვა საქონელს.

უნგრეთი ალბანეთს მიაწვდის სამრეწველო მოწყობილობას, სხვადასხვა მანქანებსა და ინსტრუმენტებს, აგრეთვე ფარმაცევტულ ნაწარმს.

1957 წელს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა 40 პროცენტით გადიდდება.

## ხელი მოაწერეს დეკლარაციას ბულგარეთისა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიებს შორის მოლაპარაკების შესახებ

სოფია, 12 აპრილი. (საკდესი). დღეს სოფიაში დამთავრდა მოლაპარაკება ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციებს შორის. მოლაპარაკება გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკების შედეგად ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ჟივკოვმა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ასახავს ორი პარტიის შეხედულებათა სრულ ერთიანობას თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთკავშირის განმტკიცების საკითხებში.

## ეგვიპტეში კანადის ელჩის თვითმკვლელობის გამო

ნიუ-იორკი, 12 აპრილი. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის უხეშმა ჩარევამ კანადის საშინაო საქმეებში, რაც გახდა ეგვიპტეში კანადის ელჩის ნორმანის თვითმკვლელობის მიზეზი და გამოიწვია კანადის საზოგადოებრიობის აღშფოთება, მკვეთრად გაამწვავა ამერიკა-კანადის ურთიერთობა.

კანადის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იმ მოქმედების გამო, რომელსაც ნორმანის დაღუპვა მოჰყვა.

სახელმწიფო დეპარტამენტმა და თეთრმა სახლმა პასუხად უხეშად სცადეს მოეხსნათ ამერიკის მთავრობისათვის პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის შინაგანი უშიშროების საკითხთა ქვეკომისიის მოქმედებისათვის, რომელიც სდევნიდა კანადის ელჩს. სახელმწიფო დეპარტამენტმა 10 აპრილს გააკეთა განცხადება, რომელშიც უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხისმგებლობა ქვეკომისიის მოქმედებისათვის. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 10 აპრილის პრეს-კონფერენციაზე ფაქტიურად დაიცვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის ქვეკომისია.

მაგრამ 11 აპრილს დილით სენატის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ისტლენდმა და ქვეკომისიის წევრმა ჯენერმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცეს განცხადება, სადაც იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და იუსტიციის სამინისტრომ მოიწონეს ნორმანზე „თავდასხმები“. კერძოდ, ისტლენდმა და ჯენერმა განაცხადეს, რომ „ბრალდებანი“ ნორმანის წინააღმდეგ გამოქვეყნდა სახელმწიფო დეპარტამენტის ნებართვით. უფრო გვიან ისტლენდმა და ჯენერმა სცადეს უკან წაეღოთ თავიანთი განცხადება, რომელიც სავსებით ამჟღავნებს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას წილი უდევს კანადის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ქვეკომისიის ჩარევაში, მაგრამ დაიგვიანეს.

კანადის საზოგადოებრიობა კვლავ გამოთქვამს აღშფოთებას კანადის საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო.

ოტავიდან მიღებულ ცნობაში გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი დანიელი წერს: „გაზეთების სარედაქციო კომენტარები და მკითხველთა წერილები მოწმობენ, რომ ყველა კანადელი აღაშფოთა ნორმანის საქმემ. გარდა ამისა, კანადელები აღაშფოთა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის შენიშვნებმა კვირის პრეს-კონფერენციაზე და სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის გერტერის გუშინდელი პასუხის შინაარსმა ნორმანის საქმესთან დაკავშირებით კანადის პირველ საპროტესტო ნოტაზე“.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, კანადის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰინიმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ყოფნის დროს მან ვერ მიიღო პრეზიდენტისაგან „კონკრეტული მითითება, რომ განხორციელდება ღონისძიებანი ასეთი ამბების გამეორების თავიდან ასაცილებლად“.

### დ ღ ე ს

### თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — სევილიელი დალაქი (დილას), დონ-კიხოტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი (დილას), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან (დილას), მარტოხელა (საღამოს), **სომხური დრამის** — მკვდრეთით აღდგომა (დილას), ოტელო (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დალი (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აჩაკუნე (აბონემენტი № 34, 11 ს.), ოქროს კვეჩრიანები (აბონემენტი № 33, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ალისფერი ყვავილი (10 ს. 30 წ.), განძთა კუნძული (3 ს.), **ფილარმონია** — ჯაზ-ორკესტრის კონცერტი გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.), საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ისანი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — როცა ბულბულები გალობენ, **ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ჩემი ქალიშვილი, **თბილისი, კომკავშირელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ანგელი მთებში, **სპარტაკი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — არსენა, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — წითელი და შავი (I და II სერია), **კოლხიდა** — პარმის სავანე, **26 კომისრის სახელობის** — მირზა გალიბი, **დიდუბე** — კნოპკა და ანტონი, **ყაზბეგი** — ჟულიეტა, **კოლმეურნე** — მემკვიდრე, **კიროვის სახელობის პარკი** — ბატონი 420 (I და II სერია), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — გაცრუებული ოცნებები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მის მენდი (I და II სერია).

### ტელეგადაცემათა პროგრამა 14 აპრილისათვის

15.00 — ყველაზე პატარებისათვის — ციკლიდან „მხიარული სურათები“ — „დათუნია ჩხუბისთავი“. 15.15 — ნახატი ფილმი „ისარი მიფრინავს ზღაპარში“. 15.45 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალის „საქართველოს პიონერის“ დამატება — „მუსიკა სკოლაში“. 16.00 — ახალი მხატვრული ფილმი „გოგონა და ნიანგი“. 17.00-დან 20.00-მდე — შესვენება. 20.00 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის — „შემოქმედებითი ურთიერთობის ნაყოფი“. 20.15 — ახალი დოკუმენტალური ფილმი „ისინი ნიღაბს ხდიან ამერიკულ დაზვერვას“. 20.45 — სტუდენტთა თვითმოქმედების კონცერტი (მონაწილეობენ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები). 21.15 — ფრანგული მხატვრული ფილმი „მისამართი უცნობია“ (ამ ფილმის ნახვა 16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის აკრძალულია).

### თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

დიდი საცირკო წარმოდგენა

**საილუზიო რევიუ**

მონაწილეობენ:

**სოფიო მარი და მარტინ მარჩესი**

აგრეთვე

დიდი მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

კვირაობით **დღის 2 საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი 12 და 3 საათზე

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში.

მოქალაქე **სერგო სარქისის-ძე ბაინდუროვმა**, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 24, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლუსია ოგანეზის ასულ ბაინდუროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **იზოლდა ვალერიანის ასულმა ქინქლაძემ**, მცხოვრებმა გუმბრის ქ. № 25, აღძრა საქმე პლეხანოვის პროსპ. № 62/64 მცხოვრებ მოქალაქე **ვაჟა მიტროფანეს-ძე ბერაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა ნატაშა, მეუღლე ტატიანა, შვილები ზაურ, მზია, კუკური, ძმები ნოე, ბიკენტი, რძალი რაისა ოჯახებით იუწყებიან
**გრიგოლ მარკოზის-ძე ფარჯანაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV სოფ. ლადიშში (ამბროლაურის რ.).

შვილი იამზე, ძმები გიორგი, ვალია, დები ელენე, პაშა, ნადია, თამარ, რძლები მავრა, გუგული, თამარ, ვერა, სიძეები გერასიმე, დავით ოჯახებით იუწყებიან
**გოგუცა ბესარიონის ასულ ოდიშარიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5 ს. ბაქოს ქ. № 12.

შვილი მაშო, რძალი ე. აბაშიძე, სიძეები გ. კაპანაძე, ბ. ბრეგვაძე ოჯახებით იუწყებიან
**ნატალია სიმონის ასულ არაბიძე-ბურჯანაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5 ს. ლენინის ქ. № 37.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტურის და ქსელის კოლექტივი იუწყება
**მიხეილ გრიგოლის-ძე ჩიგინოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 4 ს. ათარბეგოვის ქ. № 12.

მუხრანის საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალი იუწყება
**ნინო დავითის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელ-ზედგინიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IV სოფ. მუხრანში.

და მარგალიტა, ძმები გაიოზ, იასონ, რძლები ბაბო, ეთერ იუწყებიან
**თამარ იასონის ასულ გიორგობიანის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 6 ს. ფასანაურის ქ. № 16.

შვილი მერი შვილებით, და აგრაფინა აბესაძე, სიძე პ. დათებაშვილი ოჯახით იუწყებიან
**ბარბარე დავითის ასულ აბაზაძე-ხოშტარიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5 ს. თოფურიძის ქ. № 17 (ლენინის რ.).

ქარელის სოფლის კოოპერატივის თანამშრომლები იუწყებიან
**სერგო თედორეს-ძე აბაშიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV, 3 ს. სოფ. ქარელში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეები — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი  გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-34, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-51-65, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-12, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 01901 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.